ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №13

ქ.ონი *05,11, 2012წ*

ერთის მხრივ შპს " ტმტ " (შემდგომში "გამყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ნესტან ნარტყოშვილის სახით და მეორეს მხრივ სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლა შემდგომში (შემსყიდველი) მისი დირექტორის მაია გრიგოლიშვილის სახით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს თბობის სეზონისათვის საწვავის (CPV-09134200-250) შესყიდვა. მიმწოდებელი ვალდებულებას იღებს მოთხოვნის შესაბამისად შემსყიდველს შესაბამისი დოკუმენტაციის თანდართვით (საგადასახადო ანგარიშფაქტურა, ელ.სასაქონლო ზედნადები და სხვა) მიაწოდოს საქონელი ქვეყანაში დაფიქსირებული საშუალო საბაზისო ფასების ფარგლებში.

1.2 მხარეები თანხმდებიან, რომ საქონელზე ფასის გადახდა მოხდება საქონლის მიწოდების შემდეგ.

1.3 ანგარიშსწორების ფორმა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 მომწოდებელი ვალდებულებას იღებს:

ა) შემსყიდველს მიაწოდოს შესაბამისი ხარისხის და სტანდარტის საქონელი

ბ) აუნაზღაუროს შემსყიდველს მიმწოდებლის ბრალეულობით გამოწვეული ზარალი.

2.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 დადებული ხელშეკრულებით საქონლის ღირებულება შეადგენს 250 (ორასორმოცდაათი ლარი) ლარს .

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ ხელშეკრულების პირობებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2 როცა ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელია ფორსმაჟორული სიტუაციიდან გამომდინარე ყოველი მხარე პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის შემდეგ:

5. ხელშეკრულების ბათილობა

5.1 ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება მოიშალოს;

ა) მიმწოდებლის ინიციატივით შემსყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას

ბ) შემსყიდველის ინიციატივით მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას

გ) მხარეთა ურთიერთშეთანხმებით

დ) ფორსმაჟორული სიტუაციის დროს

5.2 ხელშეკრულება ბათილია ვადის გასვლის შემდეგ.

6. დავების გადაწყვეტა

მხარეთა შორის დავა წყდება ურთიერთშეთანხმების გზით (რაც დადასტურებული უნდა იყოს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით) შეუთანხმებლობის შემთხვევაში ორივე მხარეს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2012 წლის 5 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შ.პ.ს "ტმტ"	გლოლის საჯარო სკოლა
დირექტორი: ნესტანი ნარტყოშვილი	დირექტორი მაია გრიგოლიშვილი
საიდ.კოდი 437976068	საიდ.კოდი 237981207
ა/ნ GE37BG0000000318058100	ა/ნ 120110739314000
საქართველოს ბანკი	ს/ს "ლიბერთი ბანკი" 220101449
ბ/კ BAGAGE22	